

ოქტომბერი, 2012

გარემოს დაცვა

უკანასკნელი წლების განმავლობაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში გატარებულმა დაუფეგმავმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა, დიდი ზიანი მოუტანა როგორც გარემოს, ისე საქართველოს მოსახლეობას. წლების განმავლობაში არ განისაზღვრებოდა ქვეყნის პოლიტიკა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში; პრაქტიკულად მოისპო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მექანიზმები; ბუნებრივი რესურსების მართვა კი, გაიგივებული იყო ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებასთან და ეს ფუნქცია ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროს გადაეცემოდა. შედეგად, საბოლოოდ დაირღვა წონასწორობა ბუნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მოხმარებას შორის. კანონმდებლობა სულ უფრო მეტად დაშორდა საყოველთაოდ აღიარებულ მდგრადი განვითარების პრინციპებს, ასევე, ევროკავშირის კანონმდებლობას.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ინსტიტუციური მოდელის ჩამოყალიბება, ამ უკანასკნელის არსის გაურკვევლად, ამ დრომდე ნაჩქარევად გატარებული რეფორმების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გააზრების, საჭიროებების (საკანონმდებლო ბაზა, ტექნიკური თუ ადამიანური რესურსები) შესწავლისა და საზოგადოების მონაწილეობის გარეშე კვლავ პრობლემურია. მიგვაჩნია, რომ ეს სფერო იმდენად რთულია და ისეთი კომპლექსური პრობლემების/გამოწვევების წინაშე დგას, რომ ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად, მიზანშეწონილია შეიქმნას კომისია, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ქვეყნის საჭიროებების/სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშავებს სექტორის რეფორმირების ოპტიმალურ მოდელს.

ამავდროულად, გამოვყოფთ ზოგიერთ საკითხს, რომლებიც ხელს შეუწყობს გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებას და ასევე, დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის მოთხოვნებთან, რომელთა უმეტესობა გადაუდებელ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება:

1. გარემოს დაცვის სამინისტროს შესაძლებლობათა გაძლიერება, როგორც შესაბამისი უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვის, ისე ტექნიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით; ეფექტური გარემოსდაცვითი კონტროლის მექანიზმების ჩამოყალიბება, მათ შორის, გარემოს დაცვის ინსპექციის აღდგენა-განვითარება;
2. აუცილებელია წყლის, ჰაერის, ნიადაგის, ნარჩენების კანონმდებლობის გადამუშავება/შემუშავება და გარემოსდაცვითი მართვის არსებული ინსტრუმენტების გაძლიერება და ახალის (მათ შორის, ეკონომიკური ინსტრუმენტების) დანერგვა;
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გადამუშავება/სრულყოფა: ეს სულ მცირე, უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან (ორჰუსის კონვენცია,

თბილისი, 0179, საქართველო
ვალთაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 229 27 73
ფაქსი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org



პროექტს აფინანსებს ევროკავშირი

ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ბერნის კონვენცია) ასევე ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივასთან;

4. საზოგადოების ინფორმირებისა და სხვადასხვა დონეზე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ადრეული და ეფექტური მონაწილეობის პროცედურების გაუმჯობესება;

5. გასული წლის განმავლობაში მიღებული იმ ნორმატიული აქტების დაუყოვნებლივ გაუქმება, რომლითაც დაკანონდა კანონმდამრღვევთან, ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ, შეთახმების დადების შესაძლებლობა და უკანონო ქმედებების კანონიერად აღიარება, დაცული (წითელ ნუსხაში შეტანილი) სახეობების კომერციული მოპოვება, ნადირობა დაცული ტერიტორიებში და სხვ.;

6. საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში საქართველოს მთავრობისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ გამოცემული იმ აქტების გაუქმება, რომლითაც ამომრჩეველთა ხმების მოპოვების მიზნით, მოიხსნა უკანონო ტყის ჭრის შემზღუდავი ყოველგვარი მექანიზმი.

7. საქართველოს ტყეების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, მერქნული რესურსის ფართომასშტაბიანი ექსპლუატაციის ნაცვლად, აქცენტი გაკეთდეს მდგრად მეტყევეობაზე, ტყეების დაცვა-აღდგენასა და არამერქნული პოტენციალის გამოყენებაზე. დღევანდელი სამეურნეო ტყის ფონდის არანაკლებ 15%-ს უნდა მიენიჭოს დაცული სტატუსი. ზემოთქმულის განსახორციელებლად დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ქვეყნის ტყის ფონდის სტრატეგიული ზონირება - დაცულ, დაცვით და სამეურნეო ტყეებად. საქართველოს ტყეების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებული იქნება დაცულ და დაცვით ტყეებს, უნდა დაუკანონდეს დაცული ტერიტორიების სტატუსი, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურით დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებამდე, პარლამენტის დადგენილებით მიენიჭოს „სარეზერვო დაცული ტერიტორიების“ სტატუსი. სამეურნეო ტყეებში, შესაძლებელია ტყითსარგებლობა განხორციელდეს იჯარით, ლიცენზირებით ან სარგებლობის სხვა ფორმით, ასევე, შესაძლებელია ტრადიციული ტყითსარგებლობის ფორმების აღდგენა (კერძო, სათემო, საეკლესიო ტყეები).

8. ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბებისთვის. ეს მოიცავს როგორც არსებული დაცული ტერიტორიების შესაძლებლობების გაძლიერებას, მოდერნიზება-გაფართოებას, აგრეთვე ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ რეგიონებში, როგორცაა: ზემო და ქვემო სვანეთი, სამეგრელოს მთიანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი.

9. წიაღით სარგებლობის სფეროში ბოლო წლებში გატარებული ცვლილებების ეფექტურობის შეფასება და ამ შეფასების საფუძველზე, წიაღისეული რესურსების მართვის ჩარჩოს ჩამოყალიბება. ამ ჩარჩოს ჩამოყალიბებამდე კი, გადაუდებლად აუცილებელია წიაღითსარგებლობისას (დაზვერვა, მოპოვება, გამდიდრება, გადამუშავება) გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის საკანონმდებლო მოთხოვნების დაწესება.

10. მთავრობამ უნდა გადახედოს და საკუთარი პროგრამის შესაბამისად, შეიტანოს შესწორებები 2012 წელს დამტკიცებულ „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნულ პროგრამაში“, ასევე დააჩქაროს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის განახლების პროცესი.

ენერგეტიკა

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული გარკვეული დადებითი ძვრებისა, საქართველოში კვლავაც პრობლემურია ენერგეტიკული სისტემის მდგრადობა. მთავარ პრობლემებს შორის გამოსაყოფია მიწოდების უსაფრთხოება; გარემოსდაცვითი სტანდარტების ინტეგრირება, როგორც ენერჯის გამომუშავებისას, ისე მისი მოხმარებისას; ასევე, კონკურენტუნარიანი სისტემების განვითარება მოხმარებელისთვის ენერჯის ხელმისაწვდომ ფასად მიწოდების მიზნით. დღეს საქართველო მთლიანადაა დამოკიდებული იმპორტირებულ ორგანულ საწვავზე, რაც ზრდის ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების რისკს, ხოლო ენერგოინტენსივობის მაჩვენებელი აღემატება

ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს. სექტორში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად აუცილებელია შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებების გატარება:

1. დაიწყოს ქვეყნის კრებსითი ენერგეტიკული ბალანსის მომზადება, რომელიც ასახავს ყველა სახის ენერგოშემცველის (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, თხევადი გაზი, ნავთობპროდუქტები, ნახშირი, შშა და სხვა) მიწოდების და მოხმარების სურათს ეკონომიკის დარგებსა და მოსახლეობაში, რაც შექმნის ენერგეტიკული პოლიტიკისა და სტრატეგიული გეგმების შემუშავების საფუძველს;
2. ექსპერტებისა და საზოგადოების მონაწილეობით, დაუყოვნებლივ დაიწყოს განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო პაკეტის, მათ შორის ფინანსური სამოქმედო გეგმის მომზადება;
3. საზოგადოების ფართო მონაწილეობით შემუშავდეს საქართველოს ენერგო-სექტორის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც განიხილავს ყველა რეალისტურ ალტერნატივას (მათ შორის, მცირე ჰიდროსისტემებს, ქარისა და მზის ენერგეტიკას, ბიომასას), რათა შეირჩეს საქართველოს ბუნებისა და მოსახლეობისათვის ყველაზე უმტკივნეულო, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, როგორც ეს რეკომენდირებულია კაშხლების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ;
4. ამავდროულად, გამოცხადდეს მორატორიუმი დაგეგმილი იმ დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, რომლებიც გულისხმობს ათასობით ჰექტარი მიწის დატბორვასა და ადამიანების გადასახლებას საცხოვრებელი ადგილებიდან;
5. გადაიხედოს წინა მთავრობის მიერ ენერგეტიკის სფეროში ინვესტორებთან დადებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები, ქვეყნის გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით;
6. დაიწყოს მუშაობა ახალ ენერგოპოლიტიკაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის ენერგოპოლიტიკასთან - 2020;
7. მოიზიდოს ინვესტიციები მცირე ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისა და დეცენტრალიზებული განახლებადი ენერჯის წყაროების მშენებლობისთვის.